

სამთო ტურიზმის მარკეტინგული ალტერნატივები

ნათია ფაშურიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (ტურიზმის მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბეგაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ფაშურიშვილი

29.06.2015

აბსტრაქტი:

წინამდებარე ნაშრომი ეხება სამთო ტურიზმის განვითარების ახლებური მარკეტინგული არხების / ალტერნატივების გზების ძიებას. ნაშრომში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისევე თვისებრივი კვლევის მეთოდები, და ვიხილავ თემის ირგვლივ არსებულ ისეთ რელევანტურ საკითხებს, როგორცაა: ინოვაციური მარკეტინგული მეთოდების კვლევა / შეფასება და სოციალური მარკეტინგის, როგორც ახალი სარეკომენდაციო ხაზის გამოკვეთა.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული კვლევის პრაქტიკული გამოყენებით, ადგილობრივ სამთო ტურიზმს ექნება ახალ ბაზრებზე პოზიციონირების დიდი პოტენციალი; კვლევა შეუწყობს ხელს, როგორც საკითხის გაანალიზებას, ასევე სამთო ტურიზმის მომავლის ახლებური ხედვის ჩამოყალიბებას;